აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი

MES 6 19 01691992

10/12/2019

სსიპ - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს თავმჯდომარეს
ბატონ ნიკა ახალბედაშვილს

ბატონო ნიკა,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო გაცნობებთ:

2019 წლის 3 იანვრიდან 2019 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით სულ შემოვიდა 2 (ორი) განცხადება. ორივე განცხადებაში მითითებული მოთხოვნა დაკმაყოფილდა და სამინისტრომ მიაწოდა დაინტერესებულ პირებს საჯარო ინფორმაცია და გადასცა ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების ასლები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეების მხრიდან „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევას და შესაბამისად პასუხისმგებელი პირისთვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პერსონალურ მონაცემეთა დაცვის საკითხებზე პასუხისმგებლელი პირია სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - თამარ გამისონია.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - ედიშერ კვარაცხელია.

პატივისცემით,

მინისტრი
ნიჟარაძე როლანდ